ტესტის ნაწილები

ტესტი შედგება ოთხი ნაწილისაგან:

1. კითხვა და ენის გამოყენება;

2. მოსმენა;

3. ლაპარაკი;

4. წერა.

ტესტირებაში მონაწილეს შეუძლია ჩააბაროს როგორც ტესტი მთლიანად, ისე მისი ცალკეული ნაწილი/ნაწილები. ტესტის ნაწილების ჩაბარება შეიძლება ნებისმიერი თანმიმდევრობით.

ენის გამოყენებისა და კითხვის ნაწილი ამოწმებს გრამატიკული სტრუქტურებისა და ლექსიკის ცოდნას, ასევე იმას, თუ რამდენად აქვს განვითარებული ტესტირებაში მონაწილეს წაკითხულის გააზრების უნარი. ტესტის ეს ნაწილი შედგება სხვადასხვა სირთულის (მარტივიდან რთულისკენ A1 - C1) არჩევითი პასუხების მქონე 100 დავალებისაგან. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 0.25 ქულით. ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 25.

მოსმენის ნაწილი ამოწმებს უცხო ენაზე მოსმენის უნარს. მოსმენის დავალებებზე მუშაობისას ტესტირებაში მონაწილე ისმენს სხვადასხვა სირთულისა და შინაარსის ტექსტებს და პასუხობს დასმულ შეკითხვებს. დავალებები ამ შემთხვევაშიც არჩევითი პასუხების მქონეა. ტესტის ეს ნაწილი შედგება 25 დავალებისგან. ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 25.

ლაპარაკის ნაწილი ამოწმებს უცხო ენაზე ლაპარაკის უნარს. ტესტირებაში მონაწილეს ეძლევა 5 სხვადასხვა სირთულისა და შინაარსის შეკითხვა, რომელთაც მან განსაზღვრული დროის მონაკვეთში უნდა უპასუხოს. ეს დავალება ფასდება 25 ქულიანი შეფასების სქემით, რომელიც იძლევა ტესტირებაში მონაწილის არჩეულ უცხო ენაზე ლაპარაკის დონის განსაზღვრის საშუალებას.

წერის ნაწილი ამოწმებს უცხო ენაზე წერის უნარს. ტესტირებაში მონაწილეს ეძლევა კონკრეტული თემა, რომელიც მან 45 წუთის განმავლობაში უნდა დაწეროს. ეს დავალება ფასდება 25 ქულიანი შეფასების სქემით, რომელიც იძლევა ტესტირებაში მონაწილის უცხო ენაზე წერის დონის განსაზღვრის საშუალებას.

ტესტირება ტარდება კომპიუტერულად. კითხვის/ენის გამოყენებისა და მოსმენის ნაწილების შედეგებს ტესტირებაში მონაწილე შეიტყობს მყისიერად, ტესტის დასრულებისთანავე, ხოლო ლაპარაკისა და მოსმენის ნაწილების შედეგები ცნობილი გახდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ტესტირების შედეგების მიხედვით დადგინდება, თუ რა დონეზე ფლობს ტესტირებაში მონაწილე ენას, რაც, თავის მხრივ, შესაბამისობაში იქნება უცხოური ენების ფლობის საერთო ევროპული ჩარჩოს მიერ დადგენილ დონეებთან: C1, B2, B1, A2, A1. ტესტის მაქსიმალური ქულაა 100 (25-25 ქულა მისი თითოეული ნაწილისთვის).

ტესტის სტრუქტურა და ქულების განაწილება

ტესტის ნაწილები	დავალების სახე/ტიპი	საკითხების რაოდენობა	ქულა 1 საკითხისთვის	მაქსიმალური ქულა	დრო
კითხვა და ენის გამოყენება (გრამატიკა/ლექსიკა).	სხვადასხვა სირთულის (A1-C1) წინადადებები და ტექსტები	100	0.25	25	1სთ
მოსმენა	სხვადასხვა სირთულის (A1-C1)	25	1	25	30-35წთ
ლაპარაკი	სხვადასხვა სირთულის (A1-C1) ხუთი შეკითხვა	5		25	15წთ
წერა	1 თემა	1		25	45
მაქსიმალური ქულა მთლიანი				25	100

ქულების შესაბამისობა ენობრივ დონეებთან, როგორც ტესტის თითოეული ნაწილისთვის, ისე ჯამურად

Use of English and Reading

C1	B2	B1	A2	A1
23 - 25	18.5 - 22.75	14.5 - 18.25	10 - 14.25	8 - 9.75
92%	74%	58%	40%	32%

Listening

C1	B2	B1	A2	A1
23 - 25	19 – 22	15 – 18	11 - 14	9 - 10
92%	76%	60%	44%	36%

Speaking

C1	B2	B1	A2	A1
22 - 25	18 - 21	14 - 17	11 - 13	9 - 10
88%	72%	56%	44%	36%

Writing

C1	B2	B1	A2	A1
22 - 25	18 - 21	14 - 17	11 - 13	9 - 10
88%	72%	56%	44%	36%

Total

C1	B2	B1	A2	A1
90 -- 100	73.5 -- 89.75	57.5 -- 73.25	43 -- 57.25	35 -- 42.75
90%	73.5%	57.5%	43%	35%